ურბანული დაგეგმარება

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს არქიტექტურის ბაკალავრს, ინგლისური ენის B2 დონეზე სავალდებულო ფლობის მოთხოვნით, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების (კლაუზურის) საფუძველზე.

კლაუზურას შეფასების კრიტერიუმები:

კლაუზურა - ესკიზური პროექტის შექმნაა მოცემულ თემაზე (საპროექტო თემა არაა წინასწარ ცნობილი), რომელიც მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს გრაფიკულად ფაკულტეტის მიერ გაცემულ A-2 ზომის ფორმატზე.

ესკიზური პროექტი ხელით სრულდება, მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფალია ნებისმიერი გრაფიკული საშუალების და ტექნიკის არჩევანში (ფერადი ფანქარი, გუაში, აკვარელი და სხვა)

გამოცდის ხანგრძლივობა: 4 საათი

შეფასების კრიტერიუმები

#	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	პროექტის დავალების პირობების შესრულება შემადგენლობის თვალსაზრისით, (გენ-გეგმა, განშლა, ჩანახატები, დეტალები, ფრაგმეტები)	20
2	პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი, მასშტაბის დაცვა, კომპოზიციური განაწილება.	20
3	პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური, გეგმარებითი და მხატვრულ-ესთეტიკური გადაწყვეტა.	20
4	პროექტის ინოვაციურობა და შესრულებისადმი ორიგინალური მიდგომა	20
5	პროექტის არქიტექტურული იდეის და მხატვრული აზროვნების ხარისხი	20